საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/15388
13/11/2019

15388-2-03-2-201911131144

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი(შემდგომში დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 30 - კმ 55 მონაკვეთზე არსებული სახიდე გადასასვლელების მშენებლობას (ადგილმდებარეობა მოცემულია დანართის სახით).

ზემოაღნიშნული არსებული სახიდე გადასასვლელები ამ ეტაპზე ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია, გამომდინარე მისი სიძველიდან, მნიშვნელოვნად შემცირებულია ხიდების მზიდუნარიანობა. ხიდების ტექნიკური მდგომარეობა დამძიმებულია ასევე უხვად მოსული ღვარცოფული ნაკადებით(დამახასიათებელი მთის მდინარეებისთვის). დაზიანებულია ხიდის ბურჯები, მალები და სხვადასხვა ინფრასტრუქტურა.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა ტურისტულად დატვირთულ რეგიონს აკავშირებს დანარჩენ საქართველოსთან. ამ გზას ასევე გააჩნია სტრატეგიული დანიშნულება, შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი ინფრასტრუქტურული ნაგებობა როგორსაც წარმოადგენს ხიდი, იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რათა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში გზაზე გადაადგილება არ შეფერხდეს. დეპარტამენტი ამ მიზნით ახორციელებს ზემოაღნიშნული საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებს, სადაც სამუშაოების საწარმოებლად გამოიყენება მძიმე ტექნიკა, რომელთა მოძრაობამ შესაძლებელია არსებულ ხიდებზე კიდევ უფრო დაამძიმოს მათი მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე დეპარტამენტი მოვლა-შენახვის ფარგლებში, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ახორციელებდა ხიდების ექსპლუატაციას, რომლის პარალელურად ამზადებს სახიდე გადასასვლელების საპროექტო დოკუმენტაციას, რომელსაც სჭირდება არსებული სიტუაციის ანალიზი, მომავალი გარე ზემოქმედებისგან დაცვის ფაქტორების გათვალისწინება, კონსტრუქციული ანგარიში, მშენებლობის დაგეგმვა და სხვა.

ამ ეტაპზე დეპარტამენტს შესყიდული და ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სახიდე გადასასვლელების პროექტირება/მშენებლობა ტიპის სამუშაოების მომსახურებაზე სატენდერო

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

პროცედურების დაცვით, რომელიც განახორციელა კონკურენტული გარემოს შექმნის და ადეკვატური ღირებულების მიღების ფაქტორებზე დაყრდნობით.

საპროექტო დოკუმენტაცია მზადდება იმდაგვარად, რომ არ იცვლება ხიდის ღერძი, ხიდის პარამეტრები რჩება უცვლელი, ხოლო სამშენებლო სამუშაოები არ სცილდება ხიდის მდებარეობის არეალს. სამშენებლო სამუშაოების აუცილებლობა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული დადგა არსებული ხიდების ტექნიკური მდგომარეობის გამო.

საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა მოხდეს 2019 წლის ნოემბრის თვეში ეტაპობრივად, რომლის შემდგომაც დეპარტამენტის შესაბამისმა კონტრაქტორებმა უნდა მოახდინონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო დეპარტამენტის მხრიდან აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად, თუმცაღა, აღნიშნული ღონისძიებების გატარება ასევე მოითხოვს გარკვეული დროის პერიოდს, კერძოდ:

1. კანონმდებლობის მიხედვით, სკოპინგის ანგარიშის წარდგენიდან საჭიროა 26-30 სამუშაო დღე, განხილვისა და სკოპინგის დასკვნის მოწოდებისთვის;
2. სკოპინგის დასკვნაში ასახული შესაბამისი მითითებების საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ესაჭიროება 15-20 სამუშაო დღე;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენიდან 51-55 სამუშაო დღეში ვიღებთ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევის გარდა თუ დოკუმენტი არ დახარვეზდა.

ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვის პირობით (საშუალოდ 4 თვე), დეპარტამენტი სამშენებლო სამუშაოების ვადის ფაქტორის გათვალისწინებით (ერთი ხიდის მშენებლობას სჭირდება საშუალოდ 12 თვე, ასაშენებელია 9 ხიდი), დადგება იმ რეალობის წინაშე, რომ მოცემულ რეგიონში არსებული კლიმატის გამო ვერ განახორციელებს პროექტს და სამშენებლო სამუშაოები, რომელთა დასრულება დაგეგმილი იყო 2020 წელს, დასრულდება 2021 წლის ბოლოს, ხოლო შემოდგომის და გაზაფხულის პერიოდში უხვნალექიანობის შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი ხიდების ექსპლუატაცია, რაც დიდი ალბათობით გამოიწვევს ხიდების დაზიანებასა და ფუნქციონირების შეწყვეტას, რითაც საავტომობილო გზაზე გადაადგილება მოხდება შეფერხებით და გახდება სახიფათო, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით, საკითხის დროული დარეგულირებისათვის, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან და აღნიშნული პროექტები, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-16 მუხლის შესაბამისად, გაათავისუფლოთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურისგან, რათა დეპარტამენტს მიეცეს შესაძლებლობა მოახდინოს სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2019 წლის დეკემბრის თვეში და დაასრულოს 2020 წლისთვის.

დანართი: 09 (ცხრა) ship ფაილი.

პატივისცემით,

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.